ბრძანება:**ბ28. 28231593**
თარიღი:**08/06/2023**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54 -ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“,,გ.გ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის 5-ე პუნქტის, ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ *საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის* N116 განკარგულებების; „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 იანვრის N5 დადგენილების მე- 3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად და მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ავთანდილ ურიადმყოფელის 2023 წლის 8 ივნისის N05-28231599 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი სახით ცვლილებები და ასახულ იქნა **თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში**:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები (ტრანსფერი გაიზარდოს 300.0 ათასი ლარით) განისაზღვროს 24106.3 ათასი ლარის ოდენობით.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს 28120,2 ათასი ლარის ოდენობით.

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საბიუჯეტო პროგრამა, კომუნალური მეურნეობის განვითარების ასიგნება (პროგრამული კოდი 02 04) გაიზარდოს 300,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 3070.0 ათასი ლარის ოდენობით.

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი ჩამოყალიბდეს დანართ N 1 შესაბამისად.

მუხლი 2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ავთანდილ ურიადმყოფელს.

მუხლი 3. ბრძანება ჩაბარდეს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.

N7)კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მანუჩარ რობაქიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი